საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №334

თბილისი „05“ 04 2018 წ.

„სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში პროექტების დაფინანსების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ და „ყ“ ქვეპუნქტების, „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1233 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში პროექტების დაფინანსების მიზნით გამოცხადდეს კონკურსი და საკონკურსო პირობები დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ჩხენკელი

დანართი

„სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში პროექტების დაფინანსების საკონკურსო პირობები

- კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს;
- დასაფინანსებლად წარმოდგენილი პროექტი მორგებული უნდა იყოს იმ მოსწავლეების ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, რომლებიც 2017-2018 სასწავლო წლის ფარგლებში ირიცხებიან მე-7 და/ან მე-8 და/ან მე-9 კლასებში.
- პროექტის დაგეგმვა შესაძლებელია შემდეგი მიმართულებების ფარგლებში:
    - ✓ სპორტი;
    - ✓ კულტურა/ხელოვნება;
    - ✓ ინტელექტუალურ-შემეცნებითი;
- ერთი პროექტის განსახორციელებლად მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს.
- პროექტის ფარგლებში სახელფასო ფონდის არსებობის შემთხვევაში, სკოლის მასწავლებლის შრომის ანაზღაურებისთვის მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ერთ აკადემიურ საათში 10 ლარს, დირექცია/ადმინისტრაციის წარმომადგენლის (გარდა სკოლის დირექტორისა) ანაზღაურებისთვის მოთხოვნილი თანხა - ერთ აკადემიურ საათში 10 ლარს. აღნიშნული რეგულაცია ვრცელდება ისეთი აქტივობების შემთხვევაში, რომლებიც მასწავლებლის მხრიდან ითვალისწინებს საგაკვეთილო, საწრეო, სალექციო, საკონსულტაციო და სხვა მსგავსი ტიპის საქმიანობას. იგი არ ვრცელდება გასვლით აქტივობებზე ორიენტირებულ პროექტებზე (მაგალითად: საგანმანათლებლო/შემეცნებითი ექსკურსია, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა). ასეთ შემთხვევაში სკოლა აქტივობის სპეციფიკისა და ორგანიზება/განხორციელების სირთულის გათვალისწინებით თვითონ ადგენს ჩართული პირის/პირების ანაზღაურების პრინციპს და ოდენობას;
- პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია კონკრეტული სპეციალისტის/კონსულტანტის მოწვევა, რომლის შრომის ანაზღაურების განსაზღვრაზე ზემოხსენებული შეზღუდვები არ მოქმედებენ. მოწვეული სპეციალისტის/კონსულტანტის ანაზღაურებას განსაზღვრავს სკოლა მოწვეულ პირთან შეთანხმებით;
- პროექტის განხორციელებაში უპირატესად ჩართული უნდა იყოს სკოლის მასწავლებელი, რომელიც არ წარმოადგენს სკოლის დირექციას. გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლას არ ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგი და ჭირდება მოწვეული სპეციალისტის აყვანა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე, გამონაკლისის დაშვებაზე გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისია.

- ერთი პროექტის ფარგლებში შესაძლებელია ჩაერთოს შესაბამისი სკოლის დირექცია/ადმინისტრაციის ერთი წარმომადგენელი (სკოლის დირექტორის გარდა) და მისი ფუნქციებია:
    - ✓ უზრუნველყოს სკოლის მოსწავლეების ინტერესების/საჭიროებების განსაზღვრა;
    - ✓ დაეხმაროს პროექტის განმხორციელებელ მასწავლებელს პროექტის/განაცხადის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად მომზადებასა და დასაფინანსებლად წარდგენაში;
    - ✓ დაფინანსების მიღების შემდეგ უზრუნველყოს პროექტის ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების გატარება.
    - ✓ დაეხმაროს პროექტის განმხორციელებელ მასწავლებელს სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ანგარიშების მომზადება/წარდგენაში;
    - ✓ უზრუნველყოს პროექტში მონაწილე მხარეების მუშაობის კოორდინაცია;
    - ✓ მონიტორინგი გაუწიოს წრის/პროექტის მიმდინარეობას და წრის/პროექტის მიმდინარეობის პროცესში სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად წარადგინოს მონიტორინგის ანგარიში;
    - ✓ მიიღოს კონსულტაციები რესრუსცენტრისა და სამინისტროსგან.
- სკოლამ დაფინანსების მოსაპოვებლად შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის გავლით (საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow) საშუალებით), სამინისტროში უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია დანართი 1-ის შესაბამისად;
- წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში პროექტის წარმომდგენი ვალდებულია პროექტს დაურთოს ბაზრის კვლევის ამსახველი ინფორმაცია (მინიმუმ 3 კომპანიისგან მიღებული ინვოისი); თუ ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია მოთხოვნილი რაოდენობის ინვოისების წარმოდგენა, დასაბუთებული მიზეზი შენიშვნის სახით უნდა მიეთითოს; ბიუჯეტში დაუშვებულია გაუთვალისწინებელი ხარჯების მოთხოვნა.
- კონკურსის ფარგლებში განაცხადების მიღების I ეტაპი დაიწყება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ წინამდებარე კონკურსის

გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ ბრძანების ძალაში შესვლიდან და გაგრძელდება 12 სამუშაო დღის ვადაში;

- განაცხადებს განიხილვას პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისია;
- I ეტაპზე შემოსული განაცხადების შეფასებისას კომისია, პირველ რიგში, გაითვალისწინებს განაცხადის სამინისტროში შემოსვლის თარიღს/დროს, შემდეგ მის გამართულობას (კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ბიუჯეტის დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობა; მიზნებს, შედეგებსა და დაგეგმილ აქტივობებს შორის არსებული ლოგიკური კავშირი);
- განაცხადების მიღების შემდგომი ეტაპები გამოცხადდება დაფინანსების ფონდის ამოწურვამდე; მომდევნო ეტაპების გამოცხადების, ვადების და განაცხადების შეფასების კრიტერიუმების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისია. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ საგანმანათლებლო რესურსცენტრების ინფორმირებას უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი;
- პროგრამის ფარგლებში განაცხადების განხილვა და დაფინანსების გაცემა დასრულდება 2018 წლის 28 დეკემბერს;
- კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
  ა) რეკომენდაცია მინისტრისთვის სკოლის/პროექტის დაფინანსების შესახებ;
  ბ) სკოლის/პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;
  გ) სკოლის/პროექტის განსხვავებული ოდენობით დაფინანსების შესახებ;
  დ) რეკომენდაცია პროექტის წარმომდგენისთვის პროექტის კორექტირების შესახებ (გარდა დაფინანსების I ეტაპისა);
- პროექტში/განაცხადში მითითებული ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია პროექტის/განაცხადის წარმომდგენი.

დანართი 1

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამისთვის

პროექტის წარმომდგენი სკოლის სახელწოდება *(სრული, იურიდიული)*		
სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა		
პროექტის განმხორციელებელი პედაგოგი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია	სახელი, გვარი	
	პირადი ნომერი	
	ტელეფონი	
	ელ-ფოსტის მისამართი	
პროექტის წარმომდგენი სკოლის დირექტორის სახელი, გვარი და ტელეფონი		
პროექტის წარმომდგენი სკოლის ელ-ფოსტა *(მოქმედი)*		
პროექტის წარმომდგენი სკოლის საიდენტიფიკაციო კოდი		
პროექტის სახელწოდება		
მიმართულება		
სამინისტროსგან მოთხოვნილი თანხის ოდენობა	---------- **ლარი**	

სამიზნე ჯგუფი (მიუთითეთ პროექტში ჩართული მოსწავლეების კლასი/კლასები)	
კურსის ხანგრძლივობა (პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე მიუთითეთ ან საათების ან თვეების ან დღეების ჯამური რაოდენობა)	
განხორციელების სავარაუდო ვადები (რომელი თვეების ფარგლებში იგეგმება განხორციელება)	
პროექტში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა	_____ გოგონა _____ ბიჭი
პროექტის მიზანი	
პროექტის შედეგები	
გამოყენებული სწვლების მეთოდოლოგია	

პროექტის მოკლე აღწერილობა	
პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების დეტალური აღწერა	1. 2. 3. 4. 5. და ა. შ.
პროექტის მდგრადობა	
შენიშვნა (აღნიშნულ გრაფაში შესაძლებელია ჩაიწეროს განმარტებები: არასაკმარისი რაოდენობის ინვოისების წარმოდგენის შემთხვევაში, მოწვეული პედაგოგის აყვანის აუცილებლობის დასაბუთებისთვის და სხვა)	

ბიუჯეტი				
1	**შრომის ანაზღაურება**			
	პროექტში ჩართული პირის თანამდებობა[1]	**საათების/დღეების რაოდენობა[2]**	**1 საათის/დღიური ანაზღაურება[3] (ლარი)**	**ანაზღაურების ჯამური ოდენობა (ლარი)**
1.1.				
1.2.				
1.3.				
სულ (შრომის ანაზღაურებისთვის გგანსაზღვრული თანხა)				0
2	**პროექტის განსახორციელებლად შესაძენი რესურსები**			
	რესურსის დასახელება[4]	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი/ლარი
2.1.				
2.2.				
2.3.				
2.4.				
2.5.				
2.6.				
2.7.				
2.8.				
2.9.				
2.10.				
და ა.შ.				
სულ (რესურსებზე განსაზღვრული თანხა)				0
3	**პროექტის ჯამური ბიუჯეტი/ლარი**			**0**

განმარტება: 1. - აღნიშნულ სვეტში უნდა მიეთითოს: მასწავლებლის შემთხვევაში -რომელი საგნის მასწავლებელია, დირექცია/ადმინისტრაციის წარმომადგენლის შემთხვევაში-მისი სკოლაში დაკავებული პოზიცია, მოწვეული სპეციალისტის შემთხვევაში-შესაბამის დარგში დაკავებული პოზიცია/წოდება და ა.შ. პროექტში ზემოაღნიშნული პირების ჩართულობის საჭიროებას განსაზღვრავს პროექტის წარმომდგენი სკოლა.

2 და 3 - აღნიშნული სვეტები ივსება ანაზღაურების გამოთვლის პრინციპის შესაბამისად. საათობრივი დატვირთვის (საათობრივად გათვლილი ანაზღაურების) ან დღიურად გათვლილი (მაგალითად, გასვლითი აქტივობებისთვის) ანაზღაურების შესაბამისად;

*4 - რესურსის დასახელებაში სასურველია ჩანდეს მისი მახასიათებლები. **მაგალითად:** A4 ფორმატის ქაღალდი, **ფრენბურთის** ბურთი, ფერადი ფანქრები **12 ფერით**, „X" გამომცემლობის „Y" ავტორის წიგნის დასახელება, სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა „თბილისი-მცხეთა-თბილისი" **მარშრუტით** და ა.შ.*